2-3644/20
28-02-2020

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი

ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის

კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან გოგიჩაიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტები: „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების“ შეტანის შესახებ“ (07-3/407; 22.10.2019).

ინიციირებულ საკანონმდებლო პაკეტზე წამყვან კომიტეტად განისაზღვრა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, ხოლო სავალდებულო წესით განმხილველ კომიტეტებად: იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. სავალდებულო წესით განმხილველ კომიტეტთათვის განხილვის ბოლო ვადად განისაზღვრულია 04.03.2020.

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და შესაბამისი კონსულტაციების გავლის მიზნით კომიტეტს ესაჭიროება დამატებითი ვადა საკანონმდებლო პაკეტის სრულყოფილად დასამუშავებლად.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ვადა გაგრძელდეს 3 თვით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი